www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 15 ივნისი, 2012 წელი. | №3037 (132) | ფასი 50 თეთრი

მესამე გამამტყუნებელი ვერდიქტი

დამნაშავეა - ასეთი გამამტყუნებელი ვერდიქტით დასრულდა თანამედროვე მართლმსაჯულების ისტორიაში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით განხილული მესამე საქმე. ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, ვერდიქტის გამოსატანად, 12 რიგითი მოქალაქისთვის კანონით გათვალისწინებული პირველი სამი საათი საკმარისი არ აღმოჩნდა. თათბირისთვის მათ დამატებითი დრო დასჭირდათ.

საუბარია 2011 წლის 17 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე მომხდარ მკვლელობაზე. 23 წლის ზურაბ ტარყაშვილს თავდამსხმელებმა 11 ტყვია ესროლეს, მათ შორის ერთი საკონტროლო.

ზურაბ ტარყაშვილის მკვლელობიდან რამდენიმე საათში შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქმე გახსნილი იყო და მკვლელობის მოტივად შურისძიება დაასახელა.

საქმე ისაა, რომ 2010 წლის მარტის თვეში, გრიბოედოვის ქუჩაზე "არტ კაფეში" მოკლეს 21 წლის სანდრო გოგბერაშვილი. ზურაბ ტარყაშვილი სწორედ ამ დანაშაულში მონაწილეობისთვის ხულიგნობის ბრალდებით იხდიდა სასჯელს და საპატიმრო მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე დატოვა. თავდაპირველად, გავრცელდა ვერსია, რომ ზურაბ ტარყაშვილზე გოგბერაშვილის მამამ იძია შური.

მოგვიანებით, სამართალდამცველებმა დააკავეს მკვლელობაში ბრალდებული დათო რუსიშვილი. მან დანაშაული, თავდაპირველად, აღიარა და დეტალურად აღწერა, როგორ დაიგეგმა და განხორციელდა მკვლელობა, თუმცა მოგვიანებით, ჩვენება შეცვალა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

"გლობალ TV-ის" ამერიკელი მეწილე მოწმის სახით დაიკითხა

ალექსანდრე რონჟესი

მას შემდეგ, რაც გლობალ კონსალტინგ გრუპის საქმიანობაზე პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯელობა დაამთავრა და ბიძინა ივანიშვილს სატელიტური ანტენების პოლიტიკური მიზნით დაყენების ფინანსური უზრუნველყოფისთვის 126 220 190 ლარი დააკისრა, კომპანია სამართალდამცველების ინტერესის სფეროში მოექცა. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში "გლობალ TV"-ის ამერიკელი მეწილე ალექსანდრე რონჟესი დააკავეს. რონჟესი 17 საათზე თბილისიდან მოსკოვში გაფრენას აპირებდა, იქიდან კი აშშ-ში უნდა გადაფრენილიყო.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

სამხედრო ინტერვენციის საფრთხე სირიაში

გაეროს დამკვირვებელი ლატაკიაში

ხათუნა გაბიევი

სირიაში სამოქალაქო ომი არ არის, განაცხადა ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, მაგრამ ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებს. არ წყდება ამბოხებულთა ქალაქების სახელით ცნობილ დასახლებულ პუნტქებზე იერიში. აფეთქება მოხდა დამასკოშიც, სადაც თვითმკვლელმა ბომბი მანქანის ავტოსადგომზე გაჩერების შემდეგ აამოქმედა. ინციდენტის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა, გარშემო მდგომი ავტომობილები და ახლომდებარე შენობა-ნაგებობები კი სერიოზულად დაზიანდა.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

ოლიმპიური სიმღერა

ნინი ბადურაშვილი ქართველ პარაოლიმპიელებს გაამხნევებს

ანა წულუკიძე

წლის ყველაზე მთავარი სპორტული მოვლენის - ლონდონის ოლიმპიადის დასრულებიდან რამდენიმე დღეში სტარტს პარაოლიმპიადა აიღებს. თუ ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობისთვის ქართველ სპორტსმენებს ჯერჯერობით 30 ლიცენზია აქვთ მოპოვებული, პარაოლიმპიადისთვის მხოლოდ ორი სპორტსმენი - ძალოსანი შოთა ომარაშვილი და მოცურავე ნიკა თვაური ემზადებიან.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6340⇓
1 ევრო	2.0441⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5383⇓
1 თურქული ლირა	0.8933⇓
100 რუსული რუბლი	5.0144⇓

თბილისი	32°C - 21°C
ქუთაისი	39°C - 24°C
თელავი	34°C - 19°C
ზუგდიდი	39°C - 23°C
ბათუმი	33°C - 23°C

ნავთობი	2.64	+0.01	+0.52%
გაზი	2.19	-0.04	-1.73%
ოქრო	1,611.90	-1.90	-0.12%
ხორბალი	621.50	+5.50	+0.88%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

იტალიურად

ზურაბ თალაკვაძე

იტალია იტალიურად სეირნობს ევროგარჩევებში. დინჯად, ცოტა მოუქნელად და იტალიურად. ესპანეთთან ცისფერი ბიჭები ესპანელებივით დაქროდნენ და რაღაც მომენტში, იტალია ესპანეთზე ესპანეთი იყო. ხორვატიასთან უკვე პირველი ნომრიდან თამაში უნდა წასულიყო და იტალიამ იტალიურად ირბინა. მინიმალური რისკი, მაქსიმალური სიფრთხილე და აბადოკების ბევრჯერ, ნაზად გასწორება. ხორვატიაც იტალია იყო. ერთი შეცდომით მთელი ეს ამბავი მორჩა ისე, როგორც დაიწყო.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ანდრეა პირლომ იტალია დააწინაურა

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

ურეკში ბულვარი გაშენდება

საქართველოს პრეზიდენტი ოზურგეთის რაიონის სოფელ ურეკში იმყოფებოდა.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი ურეკის სანაპირო ზოლს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილთან და გურიის გუბერნატორთან ერთად ეწვია.

სააკაშვილმა ის ტერიტორია დაათვალიერა, სადაც 1 800 მეტრის სიგრძის ბულვარი უნდა გაშენდეს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ურეკის ბულვარის სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტერიტორიის გამწვანება, სავალი ნაწილის დეკორატიული ფილებით მოპირკეთება, თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი გარე განათებებისა და დასასვენებელი სკამების დამონტაჟება. სრულიად უნდა განახლდეს ბულვარის ცენტრალური შესასვლელი. დასაქმდება 200-მდე ადამიანი, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი მცხოვრები იქნება. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

მიმდინარეობს ურეკის წყალმომარაგების სისტემის დაპროექტების სამუშაოებიც. სოფელში ამორტიზებულია საკანალიზაციო და სასმელი წყლის ქსელები და მოსახლეობა წლების მანძილზე ჭის წყლით სარგებლობს. წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები 2013 წლისთვის დაიწყება და 2014 წელს დასრულდება. აშენდება წყლის ახალი რეზერვუარები და სადგურები, მოეწყობა ჭაბურღილები. წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად აშენდება კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა და მოეწყობა საკანალიზიაციო ქსელი. მშენებლობის დასრულების შემდეგ ურეკის მოსახლეობა წყალს 24-საათიანი გრაფიკით მიიღებს. წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა ღირებულება 17 მილიონ აშშ დოლარია, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით განხორციელდება. პროექტში 500-მდე ადამიანი დასაქმდება.

გიორგი ბარამიძე: "საქართველოს სანუკვარი ამოცანა ნატო-ში გაწევრიანებაა"

საქართველოს სანუკვარი ამოცანა ნატო-ში გაწევრიანებაა, - ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა გიორგი ბარამიძემ ჟურნალისტებს ნატო-ს კვირეულის ფარგლებში განუცხადა. მისი თქმით, საქართველოში ნატო-ს კვირეული გრძელდება და ამჯერად სტუმრად ლიტვის ელჩი იმყოფება.

"ელჩი საქართველოს დიდი მეგობარია და ლიტვა არის აქტიური ქვეყანა, რომელიც ენერგიულად და საფუძვლიანად მხარს უჭერს ჩვენს ქვეყანას ნატო-ში გაწევრიანებისთვის," - განაცხადა ბარამიძემ.

მისივე თქმით, ალიანსში გაწევრიანება არ არის ერთი და ორი თვის საქმე, მაგრამ არც ისე ძალიან შორეული პერსპექტივაა. ვიცე-პრემიერის შეფასებით, ბევრია დამოკიდებული არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაზეც.

"ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ შევცვალოთ კურსი და მიზანს - საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას - აუცილებლად მივაღწევთ," - განაცხადა ბარამიძემ.

საქართველოა პარლამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 2008-2012 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის გურამ მისაბიშვილის ძმის

გიორგი მისაბიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მას.

მესამე გამამტყუნებელი ვერდიქტი

პირველი გვერდიდან

გამოძიების მტკიცებით, ნარკოტიკული დანაშულისთვის პირობით მსჯავრდებული, 53 წლის ივერი გოგბერაშვილი, ამავე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პრობაციონერს - 19 წლის დათო რუსიშვილს და ყაჩაღობისთვის გასამართლებულ 23 წლის ირაკლი აგლაძეს დაუკავშირდა და მათ ზურა ტარყაშვილის მკვლელობა დაგეგმეს და განახორციელეს.

სანდრო გოგბერაშვილის მამა ივერი გოგბერაშვილი უკრაინელმა სამართალდამცველებმა დააკავეს, თუმცა, მისი ექსტრადიცია ჯერ არ მომხდარა. მკვლელობის საქმეზე, იზებნება კიდევ ერთი ბრალდებული ირაკლი აგლაძე.

დავით რუსიშვილმა, რომელსაც ბრალად ედებოდა ზურაბ ტარყაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება, შეძენა, შენახვა, სასამართლო პროცესზე, მისთვის კანონით მინიჭებული დუმილის უფლება გამოიყენა.

საქმის განხილვას სულ რვა სასამართლო სხდომა დასჭირდა. პროცესზე სულ 20 მოწმე დაიკითხა. გამოქვეყნდა მხარეების მიერ გამოკვლეული და საქმეში არსებული წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების, მათ შორის შემთხვევის ადგილიდან ამოღებული და მკვლელობის ჩასადენად გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღები. ნაფიცი მსაჯულების ჟიურიმ დავით რუსიშვილი ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებაში, 9 ხმით, 3-ის წინააღმდეგ დამნაშავედ ცნო. მსაჯულებმა დავით რუსიშვილი საბრძოლო მასალისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენასა და შენახვის ბრალდებაში გაამართლეს.

მხარეების პოზიციების გათვალისწინებით, ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობას მიიღებენ სასჯელის დანიშვნის სხდომაშიც, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს გაიმართება.

"გლობალ TV-ის" ამერიკელი მეწილე მოწმის სახით დაიკითხა

პირველი გვერდიდან

რონჟესის ადვოკატები ლილი გელაშვილი და არჩილ კბილაშვილი ამტკიცებდნენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი სამართალდამცველებს დაკავებული ჰყავდათ და მასთან ადვოკატებს არ უშვებდნენ. გელაშვილი იმასაც ამბობდა, რომ პოლიციამ ამერიკელი ძალის გამოყენებით დააკავა და მისთვის დაკავების მიზეზიც არ აუხსნიათ.

მოგვიანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმა განაცხადა, რომ სამართალდამცველებს რონჟესი არ დაუკავებიათ და იგი მხოლოდ მოწმის სტატუსით იკითხებოდა.

საკუთარ ვებგვერდზე ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმაც და დაადასტურა, რომ ალექსანდრე რონჟესი აეროპორტის შენობაში მოწმის სტატუსით იკითხებოდა.

"ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქემ ალექსანდრე რონჟესმა 2004 წლის ოქტომბერში 180 000 ლარად შეიძინა თბილისში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც 2012 წლის 8 ივნისს გაასხვისა შპს "ლიზინგი 21"-ზე 3 100 000 ლარად და მიღებული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაღდი ფულის სახით გაიტანა საბანკო ანგარიშიდან, რაც საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით საეჭვო ოპერაციას წარმოადგენს. ვინაიდან მან საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას არ მოახდინა თანხის დეკლარირება, მიზანშეწონილია ალექსანდრე რონჟესი მოწმის სახით დაიკითხოს," - აღნიშნულია ოფიციალურ განცხადებაში.

ალექსანდრე რონჟესის დაკითხვა გუშინ გვიანობამდე გაგრძელდა. ცნობილი გახდა ის, რომ რონჟესის ადვოკატები ლილი გელაშვილი და არჩილ კბილაშვილი საგამოძიებო მოქმედებას ესწრებოდნენ. დაკითხვაზე შევიდა აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელიც.

საკუთარი ინფორმაცია

ივნისის ყველაზე მაღალი ტემპერატურა გუშინ დაფიქსირდა

დასავლეთ საქართველოში გუშინ ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა - სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში 40-41 გრადუსს მიაღწია, ხოლო ზღვისპირა ქალაქებში - 35-38 გრადუსს. როგორც "24 საათს" გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი პროგნოზების განყოფილების უფროსმა დოდო გვაზავამ განუცხადა, ეს არის ივნისში ყველაზე მაღალი ტემპერატურა.

მისივე თქმით, დღეს დასავლეთ საქართველოში ტემპერატურა 33 გრადუსამდე დაიკლებს, აღმოსავლეთის მიმართულებით ძლიერი ქარი იქროლებს, დღის ბოლოს კი იწვიმებს. წვიმა რეგიონში 19 ივნისამდე გაგრძელდება. 16 და 17 ივნისს კი, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ტემპერატურა 25 გრადუსამდე დაეცემა.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, გუშინ ჰაერის ტემპერატურამ 36 გრადუსს მიაღწია. დღეს საღამოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია წვიმა ელჭექით. 16 და 17 ივნისს ჰაერის ტემპერატურა 33-36 გრადუსი იქნება, შემდეგ კი, მნიშვნელოვნად დაიკლებს და 30 გრადუსს ჩამოსცდება. ასეთი ტემპერატურა რამდენიმე დღე შენარჩუნდება. 17-23 ივნისს საქართველოში, მათ შორის თბილისში, ძლიერი წვიმებია მოსალოდნელი, რის შედეგადაც აგრილდება - ჰაერის ტემპერატურა აღმოსავლეთში 27 გრადუსი იქნება, დასავლეთში კი - 25 გრადუსი. აღმოსავლეთ საქართველოში ასევე ქარი და სეტყვაა ნავარაუდები.

ივნისში ძალიან მაღალი ტემპერატურა აღარ არის მოსალოდნელი. ტემპერატურის კლებას კი ხვალ შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან გრილი და ნოტიო ჰაერის მასების შემოსვლა განაპირობებს, - განუცხადა "24 საათს" დოდო გვაზავამ.

სპეციალისტები მოსახლეობას ჰაერის მაღალი ტემპერატურის დროს ბევრი სითხის მიღებას და მზეზე სიარულისგან თავის შეკავებას ურჩევენ.

"ბანკ კონსტანტას" Facebook-აპლიკაციამ საერთაშორისო ფესტივალებზე გაიმარჯვა

კომპანია "ლივინგსტონის" მიერ "ბანკ კონსტანტასთვის" შექმნილმა Facebook-აპლიკაციამ "მე პატარა ქართველი ვარ" საერთაშორისო წარმატებას მიაღწია!

აპლიკაციამ დაიმსახურა ვერცხლის ჯილდო KIAF-ის საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალზე (კიევი), რითიც ქვეკატეგორიაში საუკეთესო გახდა. გასულ კვირას კი აპლიკაციამ კიდევ ორ ნომინაციაში ლატვიაში, Golden Hammer-ის საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალზე გაიმარჯვა (ვერცხლის ჯილდო ინტერნეტის საუკეთესო გამოყენებისთვის; დიპლომი ინტერაქტიული სოციალური მედიის კატეგორიაში).

"მე პატარა ქართველი ვარ" იყო პირველი და ყველაზე წარმატებული აპლიკაცია, რომელმაც განამტკიცა "ბანკ კონსტანტას" დასახული კურსი ეთნოგრაფიისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე ზრუნვაში. აპლიკაციის ერთ-ერთი

მთავარი მიზანი Facebook-ზე ფესტივალ არტ-გენის წარმოჩენა იყო, რომლის გენერალური სპონსორიც, ისევე როგორც შარშან, წელსაც "ბანკი კონსტანტა" გახლავთ. შესაბამისად, აპლიკაცია გაეშვა 2011 წლის არტ-გენის პარალელურად, 11 ივნისს და უმცირეს დროში მომხმარებლების ფენომენალური რაოდენობა მიიზიდა.

აპლიკაციაში მომხმარებელი ირჩევდა საკუთარი კუთხის წარმომადგენელ პერსონაჟს და მოსავდა მას ტრადიციული ადგილობრივი სამოსით, რომლებიც ეთნოგრაფებთან ერთად შემუშავდა. მომხმარებელს აგრეთვე შეეძლო პერსონაჟის სახის ნაკვთებისა და ვარცხნილობის შეცვლა, რათა ავატარი მაქსიმალურად მიემსგავსებინა საკუთარი თავისთვის. დამატებით, შესაძლებელი იყო პერსონაჟების დაწყვილება და საკუთარი მეგობრების მსგავსი გმირების შექმნაც. საბოლოოდ, მომხმარებელი ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილ პერსონაჟს იყენებდა პროფილის ფოტოდ და მცირე წარწერით ("მე კახელი/გურული/... ვარ") ხაზს უსვამდა საკუთარი წარმომავლობით სიამაყეს.

ტრადიციული ტანსაცმლით მორთული პროფილის ფოტოები მალე მთელს ქართულ Facebook-სივრცეს მოედო და სწრაფად მოიპოვა საზოგადოების კეთილგანწყობა. ჩვენი პროფილის ფოტოები დაიყენეს ცნობილმა ქართველებმაც და გაჩნდა პერსონაჟების სახალისო ვარიანტებიც. ჯამში, "მე პატარა ქართველი ვარ" მიწვდა იმდროინდელი ქართული Facebook-აუდიტორიის მეოთხედს, ანუ 130 000 ადამიანს. პირველ ორ კვირაში შეიქმნა 53 000 პროფილის ფოტო, და "ბანკ კონსტანტას" გვერდმა Facebook-ზე აქტივობის არნახული მოზღვავება განიცადა - 138 000 ახალი Like დროის მცირე მონაკვეთში.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

"მასთ ქერის" პრინციპის გასაგანად ხელმოწერების შეგროვება იწყება

დათო გამისონია

გუშინ პარლამენტში გამართული მორიგი დახურული დისკუსიის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლება "მასთ ქერის" პრინციპის გაზიარებას არ აპირებს. კამპანიის "ეს შენ გეხება" მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს, საკანონმდებლო ცვლილების მოთხოვნით, პარლამენტში წინადადებები აქვთ წარდგენილი, რომლებიც მაუწყებლის სავალდებულო ტრანზიტს მოიცავს. არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვენ, საკაბელო კომპანიებმა ჩართონ ყველა ის ტელეარხი, რომელიც სატელის მეშვეობით მაუწყებლობს. თუ პარლამენტი "ეს შენ გეხება"-ს წინადადებას გაითვალისწინებდა, საკაბელო კომპანიებს "მე-9 არხის" და "მაესტროს" დაბლოკვის უფლება არ ექნებოდათ.

კამპანიის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნეს, რომ მათ ხელისუფლება სთავაზობდათ, საკაბელო კომპანიებს სავალდებულო წესით მხოლოდ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი და მეორე არხები ჩაერთოთ. **"კომიტეტი სატელიტური მაუწყებლების სავალდებულო ტრანზიტს არ თანხმდება. ამიტომ, მათ მიერ შემოთავაზებული წინადადება ჩვენთვის მიუღებელია,"** - განაცხადა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა შეხვედრის შემდეგ.

"ეს შენ გეხება" 30 000 ხელმოწერის შეგროვებას იწყებს, რათა პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა მოქალაქეთა სახელით დაარეგისტრიროს. **"ახლა პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება გვაქვს წარდგენილი. პარლამენტი ვალდებული არ არის, ის განიხილოს. ინიცირება საკანონმდებლო პროცედურის დასაწყებად აუცილებელია,"** - აღნიშნავს თამარ ჩუგოშვილი.

"ეს შენ გეხება" დღეს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს მიმართავს, რომელიც ხელმოწერის შეგროვების ფორმას დაამტკიცებს. კამპანიის მონაწილეები ხელმოწერების შეგროვებას ერთ კვირაში ან 10 დღეში აპირებენ. **"საბოლოო გადაწყვეტილება მმართველმა გუნდმა უნდა მიიღოს. მაგრამ, მორიგ აქტივობას იმის დასადასტურებლად ვგეგმავთ, რომ ამ საკითხის მიმართ ნამდვილად დიდი ინტერესი არსებობს. ამ წინადადებას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ვფიქრობთ, ეს პრინციპული საკითხია. ამიტომ, მცდელობას გავაგრძელებთ,"** - აღნიშნავს თამარ ჩუგოშვილი.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის თქმით, "მასთ ქერის" შესახებ "ეს შენ გეხება"-ს მიერ მომზადებული ვარიანტი არც ერთ ევროპულ ქვეყანაში და არც ამერიკის შეერთებულ შტატებში არ მოქმედებს. **"მუდმივი საუბარი იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ ის მოდელი არ გაიზიარა, რომელიც ევროპასა და ამერიკაშია, უნდა დასრულდეს. საკაბელო კომპანიების დავალდებულება, თავიანთ ბადეში ჩართონ სატელიტზე გამავალი ტელეარხები, არასწორი იქნებოდა,** - მიიჩნევს პავლე კუბლაშვილი და დასძენს, - **მსგავსი ჩარევა შეზღუდავს როგორც კონკურენციას, ისე საკაბელო ბიზნესში ინვესტიციების მოზიდვას."**

პავლე კუბლაშვილის აზრით, ყველაფერი კონკურენტუნარიან გარემოში უნდა გადაწყდეს. მისივე თქმით, თითოეულმა საკაბელო კომპანიამ საკუთარი პოლიტიკა თვითონ უნდა გადაწყვიტოს.

ახალ საგამოცდო მოდელზე სტრატეგიული კომისია მუშაობს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა მიმდინარეობს. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, გუშინ განათლების სისტემის განვითარების გეგმაზე მომუშავე საბჭოს წევრებმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალი - "8+1" მოდელი განიხილეს. სხდომას მინისტრი დიმიტრი შაშკინი უძღვებოდა. ექსპერტთა ჯგუფი ახალ მოდელზე მუშაობას აგვისტოში დაასრულებს. აგვისტოდან დეკემბრამდე კი საქართველოს სკოლებში აპრობაციები ჩატარდება და ახლად შექმნილი სისტემა ყველა მიმართულებით შემოწმდება, შემუშავდება ტესტების საგამოცდო ვარიანტები, დადგინდება შეფასების კრიტერიუმები. მინისტრის განცხადებით, განათლების სისტემაში დაგეგმილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას ყურადსაღებია საბჭოს წევრთა თითოეული კომპეტენტური წინადადება. ასეთ სამუშაო შეხვედრებზე გადაწყვეტილებები ხანგრძლივი მსჯელობის გზით მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მიიღება და მასში კომისიის ყველა წევრის მოსაზრებაა გათვალისწინებული. გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სპეციალური კომისიის შემადგენლობაში არიან განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს, ასევე საჯარო და კერძო სკოლების წარმომადგენლები და საქართველოს ნამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორები.

დავით ბაქრაძე სტუდენტებს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ევროპის დემოკრატიულ სტუდენტთა კავშირის სტუდენტებს შეხვდა. მან საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ განხორციელებულ რეფორმებზე, ქვეყანაში დღეს მიმდინარე პროცესებსა და საქართველოს საგარეო პრიორიტეტებზე ისაუბრა.

შეხვედრას ევროპის 25 ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდა პოლიტიკოსები ესწრებოდნენ. პარლამენტის თავმჯდომარემ სტუმრების შეკითხვებსაც უპასუხა. "ჩვენი ამოცანა საქართველოს ევროპაში ინტეგრაციაა და მომავალი ევროპელი პოლიტიკოსები რაც უფრო ადრე გაიცნობენ საქართველოს, რაც უფრო ადრე აღიქვამენ მას ევროპულ ქვეყნად და ევროპული ცივილიზაციის ნაწილად, მით უფრო გაგვიადვილდება ამ ამოცანის მიღწევა. ამიტომ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოქმედ პოლიტიკოსებთან შეხვედრა, არამედ იმ თაობასთანაც, რომელმაც რამდენიმე წელიწადში, როცა საქართველო ევროკავშირის და ევროპის სრულფასოვანი ნაწილი გახდება, უნდა გადაიბაროს ევროპის პოლიტიკური მართვა," - განაცხადა დავით ბაქრაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

"ჩემ მიმართ აბსოლუტურად უგუნური ინტერესია"

ეკონომიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი ირწმუნება, რომ მის ბინაში ორი დღის წინ მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს. მისი თქმით, აპარატურა ზედა სართულის მეზობლის ბინაში გათხრილი იატაკიდან ხუხაშვილის ბინის ჭერზე იყო დამონტაჟებული, ის პირველად მეზობელმა ნახა და პატრული გამოიძახა. პოლიცია შემთხვევის ადგილზე მივიდა და ოქმი დაწერა. ვითარებას გაეცნო კრიმინალისტიკის დეპარტამენტიც. "ქართულ ოცნებაში" ამბობენ, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ყველა ის პროცედურა ჩაატარეს, რაც საჭირო იყო. მაგრამ, ახლა "ქართული ოცნება" სამართალდამცავებისგან შემთხვევის ობიექტურად გამოძიებას და შედეგების გასაჯაროებას ითხოვს.

კოალიცია გეგმავს, ფაქტის დამადასტურებელი ვიდეო და აუდიომასალა საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს გადასცეს. მათგან "ქართული ოცნების" წევრები რეაგირებას ითხოვენ.

თავად გია ხუხაშვილის თქმით, მეზობელ შენობაში ცხოვრობს ირაკლი ალასანია. მისი ბინის თავზეც ასევე დაკეტილი ბინაა. ხუხაშვილის მოსაზრებით, შესაძლოა, ალასანიასაც უსმენდნენ. ამიტომ, ექსპერტი ირაკლი ალასანიას ბინის დროულად შემოწმებას ურჩევს.

მაგდა ლეკიაშვილი

საქართველოსა და პოლონეთის საგარეო უწყებებს შორის კონსულტაციები გაიმართა

ვარშავაში საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების მორიგი რაუნდი გაიმართა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კონსულტაციები ევროპულ საქმეთა, ევროინტეგრაციის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტების წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა. კონსულტაციების მიმდინარეობისას მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოსა და პოლონეთს შორის არსებული ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები. ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მნიშვნელობაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკავშირთან და ნატო-სთან ურთიერთობების არსებულ მდგომარეობას და სამომავლო პერსპექტივებს. შეხვედრებზე აღინიშნა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და მრავალმხრივ ფორმატში ურთიერთქმედების გაგრძელების აუცილებლობა.

ქართულმა მხარემ პოლონურ მხარეს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის, საქართველოში მიმდინარე შიდა პოლიტიკური პროცესებისა და რეფორმების შესახებ.

შეხვედრებისას პოლონურმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის სრული მხარდაჭერა.

ჯანდაცვა პაციენტებისა და ექიმებისთვის

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ბათუმში სამედიცინო კონფერენცია "მედეა 2012" გახსნა. მონაწილეთა შორის ის ექიმებიც იყვნენ, რომლებიც უცხოეთში მუშაობენ. მიხეილ სააკაშვილმა კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და საქართველოში ჯანდაცვის სფეროს განვითარებასა და ამ მიმართულებით გატარებულ რეფორმებზე ისაუბრა. ქვეყნის პირველმა პირმა ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში გახსნილ სამედიცინო ცენტრებსა და კლინიკებზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ დაპირებული 100 საავადმყოფოს ნაცვლად, საქართველოში უკვე 150 საავადმყოფო აშენდა.

"ქართული ოპოზიციის დაცინვის ერთ-ერთი საყვარელი თემა 100 საავადმყოფოს პროექტი იყო. ახლა ამ თემაზე "პირი ყველას მოკეტილი აქვს", რადგან 100 საავადმყოფო გადაიქცა 150 საავადმყოფოდ და ეს საავადმყოფოები უკვე აშენებულია," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა ჯანდაცვის სისტემაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავარ პრობლემად კვლავ რჩება მომსახურე პერსონალის საკითხი. მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სააკაშვილის განცხადებით, სისტემატური მუშაობა მიმდინარეობს. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ექიმების გამოცდილების გაზიარებას, რომლებმაც საზღვარგარეთ წარმატებული კარიერა შეიქმნეს. მიხეილ სააკაშვილმა მათ დახმარება და ქვეყნის სამედიცინო სფეროს განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა სთხოვა.

ასევე, პრეზიდენტმა მკაცრად გააფრთხილა სადაზღვევო კომპანიები, რომ სათანადოდ აანაზღაურონ სამედიცინო პერსონალის შრომა.

"თუ ჩვენ საავადმყოფოები ავაშენეთ და იქ ისევ ისეთი ექიმები მივიღეთ, რომლებიც პაციენტს ხელში უყურებენ, როდის ჩაუდებს ჯიბეში ფულს, კვლავ კატასტროფულ ჩიხში შევალთ. ამიტომ, მივმართავ სადაზღვევოებს, შექმნან ისეთი სისტემა, სადაც მსგავსი რამ აბსოლუტურად გამორიცხული იქნება. ღმერთმა არ ქნას, რომ სადმე სამედიცინო პერსონალი ხელფასის გარეშე დარჩეს," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, საავადმყოფოებში ხელფასებში დიდი განსხვავება და სოციალური უსამართლობა სერიოზული პრობლემაა.

"ექთნები და სხვა უმცროსი სამედიცინო პერსონალი 75-100 ლარს იღებს და იმავე საავადმყოფოში ქირურგი შეიძლება, 5000 ლარს იღებდეს, ხოლო საშუალო ექიმი - 1700 ლარს. ან ეს ექიმი როგორ იღებს 1700 ლარს, ან როგორ ემუშავება იმ ექთანს, რომელიც იღებს 75 ლარს? ეს იდეოტიზმის სფერაა და ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს. დღეიდან დავიწყოთ მუშაობა, რომ არ დავინახო საავადმყოფო, სადაც ექთანი 75-100 და 150 ლარს იღებს. მაშინ ასეთი საავადმყოფო უნდა დავხუროთ. კატეგორიული გაფრთხილება სადაზღვევოებს, სამედიცინო პერსონალს და ჯანდაცვის სამინისტროს," - განაცხადა სააკაშვილმა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ფორუმი ორდღიანია და მის მუშაობაში 200-მდე სპეციალისტი მონაწილეობს. მათ შორის არიან აშშ-ში, ისრაელში, სინგაპურსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დასაქმებული 70-მდე ექიმი. "მედეა 2012"-ის მიზანია უცხოეთში მყოფი ქართველი ექიმების საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში რეინტეგრაცია, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო სერვისების შექმნა და ამ სფეროში ინვესტორების მოზიდვა.

ღონისძიების ფარგლებში მონაწილეებმა ბათუმისა და ქედის სამედიცინო ცენტრები მოინახულეს. უცხოეთში დასაქმებულმა ქართველმა ექიმებმა კოლეგებს გამოცდილება გაუზიარეს და სასარგებლო რჩევებიც მისცეს.

კონფერენციას ესწრებოდნენ პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი და მხარდამჭერი, საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსი, პარლამენტის წევრები, სამედიცინო სფეროს, სადაზღვევო ინდუსტრიისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.

პირველი სამედიცინო კონფერენცია "მედეა 2011" ვაშინგტონში გაიმართა.

სიების დაზუსტების კომისია პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავს

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავს. მიმართვაში ნათქვამია, რომ კომისიამ პროექტ "კარდაკარის" საველე სამუშაოების ძირითადი ნაწილი დაასრულა და ახლა პროცესი პრობლემური მისამართების გადამოწმებისა და "კარდაკარის" სამუშაოების საკონტროლო ღონისძიებების განხორციელების ეტაპზე გადადის. აღნიშნულ კონტექსტში ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია პოლიტიკურ გაერთიანებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავს და მოუწოდებს, ამომრჩეველთა სიების შესახებ ყველა პრობლემატურ საკითხზე და მათი გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე ერთად იმსჯელონ. "გვინდა, მოგმართოთ იმ პოლიტიკური გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ვინც დაინტერესებულია და ახორციელებს ამომრჩეველთა სიების გადამოწმებას ანალოგიური ან სხვა მეთოდით. გიწვევთ შეხვედრაზე დისკუსიისთვის. გთავაზობთ, ვიმსჯელოთ ამომრჩეველთა სიების ყველა პრობლემატურ საკითხზე და მათი გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე. ვიმედოვნებთ, რომ საერთო ძალისხმევით შესაძლებელი გახდება ამომრჩეველთა სიების შესახებ მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება და ობიექტური შედეგის მიღება," - ნათქვამია კომისიის განცხადებაში. პარტიებსა და არასამთავრობოებთან შეხვედრა დღეს გაიმართება.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მათ მხარდასაჭერად კი ცალკე პროგრამაა მომზადებული - სპორტსმენებს მორალურად ნინი ბადურაშვილის სიმღერა გაამხნევებს.

სწორედ ასე გადაწყვიტა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ პარაოლიმპიურ კომიტეტთან და «ბრავო რეკორდსთან» ერთად, ეს უკანასკნელი კი ბადურაშვილის სიმღერის (Brighter Day) ჩაწერას, შემდეგ კი მის კლიპად ქცევასაც უზრუნველყოფს. კლიპში, სავარაუდოდ, ის კადრები შევა, რომლებიც ქართველი პარაოლიმპიელების მიღწევებს აღწერს. ასეთი კი არცთუ ბევრია, რადგან ამ მიმართულებით ერთმნიშვნელოვნად არასახარბიელო მდგომარეობაა: ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაარსებულმა ქართულმა პარაოლიმპიურმა კომიტეტმა პირველი სპორტსმენი მხოლოდ 2008 წელს გააგზავნა პეკინის თამაშებზე. ეს გახლდათ ძალოსანი იაგო გორგოძე, რომელმაც მერვე ადგილის დაკავება შეძლო.

ნინი ბადურაშვილის ოლიმპიადაში მონაწილეობა მხოლოდ სიმღერის ჩაწერითა და კლიპის გადაღებით არ შემოიფარგლება. პარაოლიმპიურ კომიტეტს ქვეყნის მასშტაბით პარაფესტივალი აქვს დაგეგმილი, რომლის დასკვნითი ეტაპიც ივლისში თბილისში ჩატარდება. ცხადია, ნინი ბადურაშვილი ლონდონშიც გაემგზავრება, თუმცა მანამდე სპორტული ბაზის გახსნის ცერემონიალში მიიღებს მონაწილეობას და იქვე გაიმართება კლიპის პრემიერაც. აგვისტოში კი ნინი ბადურაშვილის სიმღერას ლონდონის ოლიმპიურ სოფელშიც მოისმენენ.

ცხადია, ბადურაშვილის სიმღერა, რომლის ავტორიც თავად გახლავთ, ტექსტი კი ბიბი კვაჭაძეს ეკუთვნის, არ გახლავთ მხოლოდ ერთჯერადი სიმბოლური აქტი. მსგავსი ტიპის მორალური მხარდაჭერა ქვეყანაში პარაოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციასაც ითვალისწინებს. როგორც უკვე გითხარით, ამ მხრივ საკმაოდ ცუდი მდგომარეობა გვაქვს, ამიტომ საჭიროა არა მხოლოდ უკვე შემდგარი სპორტსმენების თანადგომა, არამედ შეზღუდული უნარების მქონე დანარჩენი ადამიანების მოტივირებაც, რათა მათი ცხოვრება უფრო აქტიური და საინტერესო გახდეს, რაც მათი საზოგადოებაში ინტეგრირების წინაპირობაც გახლავთ.

პარაოლიმპიადა მთავარი ოლიმპიური თამაშების დასრულებისთანავე იმართება, მისი ისტორია კი საკმაოდ ვრცელია: 1948 წელს გერმანელმა ექიმმა სკოტ გუტმანმა მეორე მსოფლიო ომის ბრიტანელი ვეტერანებისთვის სპორტული ღონისძიება ჩაატარა, რადგან მიიჩნევდა, რომ სპორტი შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე ადამიანების, განსაკუთრებით კი ძვლის ტვინის დაზიანებების მქონეთა რეაბილიტაციისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გზა იყო. მისი თავდაპირველი სურვილი ასეთი ადამიანებისთვის ოლიმპიური თამაშების ორგანიზება იყო, რაც საბოლოოდ განახორციელა კიდეც. თავიდან ამ შეჯიბრში მხოლოდ ბრიტანელები მონაწილეობდნენ, თუმცა 1952 წელს ჰელსინკის თამაშებზე ბრიტანელებს ჰოლანდიელებიც შეუერთდნენ, რამაც თამაშებს საერთაშორისოს სტატუსი მიანიჭა, ხოლო 1960 წლის რომის ოლიმპიადის შემდეგ გამართულ შეჯიბრებებში 23 ქვეყნის 400 წარმომადგენელი მონაწილეობდა. 1976 წლიდან პარაოლიმპიადაში ზამთრის სახეობებიც ჩართეს. ასეთი ისტორიის მიუხედავად, პარაოლიმპიური თამაშების დაბადების ოფიციალურ თარიღად მაინც 1988 წელი მიიჩნევა, რადგან სწორედ ამ წელს გამოიყენეს პარაოლიმპიელებმა იგივე არენები, რომლებზეც მანამდე მთავარი ოლიმპიური შეჯიბრებები ტარდებოდა.

აქვე შეგახსენებთ, რომ წლევანდელი პარაოლიმპიური თამაშები ლონდონში 29 აგვისტოს გაიხსნება და 9 სექტემბრამდე გასტანს.

ᲚᲔᲥᲡᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲔᲑᲘ

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

13-14 ივნისს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ლექსთმცოდნეობის მეხუთე სამეცნიერო სესია იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელიც 90-იან წლებამდე ყოველთვიური სემინარის სახე ჰქონდა. ლექსის გარშემო სამეცნიერო-ანალიტიკური სჯა-ბაასი ლიტერატურის ინსტიტუტში 2008 წლიდან აღდგა უკვე ყოველწლიურ ფორმატში. ეს არის ლექსის ორი დღე, სადაც თავს იყრიან ლექსის პოეტიკისა თუ ვერსიფიკაციის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და როგორც ინსტიტუტის დირექტორი ირმა რატიანი აღნიშნავს, სემინარი სულ უფრო მეტად აქტუალური და პოპულარული ხდება, რაც მის მიმართ სტუდენტების არნახულ ინტერესში გამოიხატება. ახალგაზრდა მონაწილეთა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება, რომელთა შორის არიან მაგისტრანტები და დოქტორანტები. ირმა რატიანის თქმით, ლექსთმცოდნეობის აღნიშნული სესია, ერთის მხრივ, სამეცნიერო კვლევების პრეზენტაციას წარმოადგენს, მეორეს მხრივ კი, მას ახალი კადრების დათვალიერების ერთგვარი ფუნქციაც აქვს: მეცნიერები აკვირდებიან პროცესს - ვინ მოდის მომავლიდან.

მომავლიდან კი, რაც უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, დღეს ჩვენს პრაგმატულ საუკუნეში, როცა ახალგაზრდობა პროფესიის არჩევისას საბანკო-სამომხმარებლო სექტორზე აკეთებს სწორებას, კიდევ არიან ისეთები, ვინც საქმედ ლიტერატურის კვლევას ირჩევენ და კიდევ უფრო უცნაური და გასახარია, რომ მათ შორის მამრობითი სქესის წარმომადგენლები ჭარბობენ.

რაც შეეხება წლევანდელ სესიას, იგი ცისფერყანწელების შემოქმედებას მიეძღვნა და ნაშრომთა ძირითადი თემატიკა ეხებოდა ცისფერყანწელთა მიმართების საკითხს მოდერნიზმთან და ავანგარდთან, ასევე ფერის სიმბოლიკის პრობლემას, მიმართებას ვერლიბრთან და მათ ლექსთწყობას. კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს ლევან ბრეგაძის კვლევა "ტიციან ტაბიძის დადაისტური მადრიგალები", ბელა წიფურიას "ცისფერი ყანნები და ავანგარდი", ლალი ავალიანის "ცისფერი ორდენი - ნოვატორობა, ტრადიცია, ეკლექტიკა"; თამარ ბარბაქაძის "ცისფერყანწელთა მეტრიკა (შალვა კარმელი, კოლაუ ნადირაძე, რაჟდენ გვეტაძე)"; ქეთევან ელაშვილის "ცისფერის მხატვრული დიაპაზონი ცისფერყანწელებთან" და სხვა.

ლექსთმცოდნეობის სამეცნიერო კონფერენციის თემატიკა ყოველწლიურად იცვლება. გასულ წლებში მეცნიერებს განსახილველად ჰქონდათ ანა კალანდაძის, ლადო ასათიანის, გიორგი ლეონიძის, მუხრან მაჭავარიანის შემოქმედება. "სესია ინტერდისციპლინარულია და წარმოდგენილი მოხსენებები არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათისაა, მონაწილეობას იღებენ ენათმეცნიერები, ფოლკლორისტები, ფილოსოფოსებიც კი და ყველა მათგანს აქვს ლექსის კვლევის თავისი ნიშა. კონფერენციის შედეგი კი არის კრებული, რომელიც სესიის შემდეგ წიგნად გამოიცემა. კრებულში შედის ყველა ნაშრომი, მათ შორის, სტუდენტურიც, რაც დიდი სტიმული და პრესტიჟია ახალგაზრდებისთვის. სარჩევს რომ ჩახედავენ, აპოლონ სილაგაძის, ლევან ბრეგაძის თუ ზაზა აბზიანიძის გვერდით საკუთარი გვარის დაფიქსირება მართლაც პატივია. ეს კონფერენცია, შეიძლება ითქვას, სტუდენტებისათვის არის მასტერკლასი, რომელსაც ისინი სხდომების მუდმივი წევრების - ლევან ბრეგაძის, ქეთი ელაშვილის, კობა ბრეგაძის, გაგა ლომიძისაგან იღებენ. ეს მეცნიერები სწორედ სტუდენტების მუშაობაზე არიან ორიენტირებული. სტუდენტები ინიშნავენ ყველა შენიშვნას და პუბლიკაციისათვის უკვე გასწორებული ნაშრომები შემოაქვთ," - ამბობს ირმა რატიანი.

როგორც ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი აღნიშნავს, ვინაიდან ამ წლებში ლექსთმცოდნეობის სამეცნიერო კონფერენციამ უამრავი მსმენელი და დაინტერესებული პირი მიიზიდა, დადგა დრო, ლიტერატურის ინსტიტუტში აღდგეს ყოველთვიური სემინარიც, რომელიც მუშაობას უკვე მომავალი წლიდან დაიწყებს და სამეცნიერო ხასიათის გარდა, იქნება ერთგვარი მასტერკლასი ყველასათვის, ვისაც აინტერესებს ლექსი, როგორც ფენომენი, და შეხვედრა ამ ფენომენის მკვლევარებთან. ვფიქრობთ, ეს მეტად საინტერესო და აქტუალური პროექტია მეცნიერთა მხრიდან იმ ქვეყანაში, სადაც საზოგადოების 50 პროცენტი პოეზიას თვითპრეზენტაციის ფორმად იყენებს.

ყაზახი მესაზღვრის საეჭვო აღიარება



მაისის ბოლოს ჩინეთისა და ყაზახეთის საზღვარზე მდებარე "არკანკერგენის" დროებით საგუშაგოზე, სადაც ზაფხულობით 15 მესაზღვრე მსახურობს, 14 მესაზღვრისა და ერთი მეტყევის ცხედარი აღმოაჩინეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი დააკავეს ერთადერთი გადარჩენილი მესაზღვრე ვლადისლავ ჩელახი. ოფიციალური ინფორმაციით, ჯარისკაცმა დანაშაული - 14 თანამებრძოლისა და მეტყევის მკვლელობა აღიარა.

სამხედრო პროკურატურის განცხადებით, 19 წლის ჩელახი იმიტომ გაუსწორდა დანარჩენ მესაზღვრეებს, რომ ერთ-ერთი მათგანი მას სისტემატიურად ამცირებდა და შეურაცხყოფას აყენებდა. მისი აღარებითი ჩვენების ვიდეოჩანაწერი მთავარი სამხედრო პროკურორის ბრიფინგზე აჩვენეს. ვიდეოჩანაწერის მეორედ მოსმენის შემდეგ მოხერხდა დაფიქსირება, რომ ჩელახის საძულველი ჯარისკაცი იყო აგანას კამბარი. დაპირისპირების მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ კამბარს ეზარებოდა მორიგეობაზე წასვლა, რის გამოც ჩელახმა მას შენიშვნა მისცა და მიუთითა, რომ სხვასაც სურდა ძილი, რასაც კამბარის მხრიდან აგრესია მოჰყვა. "უნდოდა, როგორმე დაერტყა. უბრალოდ, შემაშინა და წავიდა," - განაცხადა პიროვნებამ ეჭვმიტანილმა. მან განცხადებაში ასევე აღნიშნა, რომ დანაშაულის ჩადენას არ აპირებდა: "უბრალოდ, ავფეთქდი და წავედი. მთელი დრო, რაც მე იქ ვმუშაობდი, ძალიან ხშირად მამცირებდნენ და შეურაცხყოფას მაყენებდნენ," - განაცხადა მან. მისი ჩვენების მიხედვით, მეტყევე მხოლოდ იმიტომ მოკლა, რომ მოწმე არ დარჩენილიყო.

მთავარი სამხედრო პროკურორის მერზადინოვის განცხადებით, მტკიცებულებები ჩელახის აღიარებას ემთხვევა. ჩელახმა დანაშაულის ის დეტალები იცოდა, რომლებიც მხოლოდ მკვლელს შეიძლებოდა სცოდნოდა. მას აღმოუჩინეს საგუშაგოს მეთაურის იარაღი, ორი ტელეფონი, ნოუთბუქი, 12 000 ტენგე (დაახლოებით 90 დოლარი) და მოკლული მეტყევის ფოტოაპარატი. თუმცა მერზადინოვი ასევე აღნიშნავს, რომ მიუხედავად ჩელახის ჩვენებისა, მოცემულ სიტუაციაში გამოძიებას არ შეუძლია დანამდვილებით თქვას, რომ ტრაგედია მესაზღვრეებს შორის დაურეგულირებელი ურთიერთობის გამო მოხდა. ჩელახის პიროვნებას საბავშვო ბაღის პერიოდიდან სწავლობენ და მას სერიოზული ფსიქოლოგიური ექსპერტიზაც ჩაუტარდება.

საზოგადოებრივი ფონდის "ამანსაულიკის" განცხადებით, ჩატარდება დამოუკიდებელი გამოძიებაც და მასში ჩართული იქნებიან საზოგადოების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რადგან ისინი ოფიციალურ ვერსიას არ ეთანხმებიან და მიიჩნევენ, რომ მიუხედავად ჩელახის აღიარებითი ჩვენებისა, ამ საქმესთან დაკავშირებით მაინც "ბევრი გაურკვევლობაა."

ცოტა ხნის წინ ჩელახის დედამ სვეტლანა ვაშჩენკომ განაცხადა, რომ შვილთან 5-წუთიანი შეხვედრის დროს მან მოასწრო ეთქვა დედისთვის, რომ არავინ მოუკლავს. ქალის აზრით, მას აიძულეს ჩვენების მიცემა, რასაც ადასტურებს შრამი სახეზე. ჩელახის ბაბუის, ვლადიმერ ჩელახის განცხადებით კი, ოფიციალური ვერსიისა მოკლული ჯარისკაცების ნათესავებსაც არ სჯერათ. მის განცხადებაში საუბარია, რომ ერთ-ერთი ჯარისკაცის სხეულზე მისმა მშობლებმა დანით მიყენებული ჭრილობები აღმოაჩინეს, რაც ეჭვქვეშ აყენებს ოფიციალურ ვერსიას, რომლის მიხედვითაც ჩელახმა თანამშრომლები იარაღით დახოცა.

გარდა გამოძიების მიმართ ნათესავების უნდობლობისა, ადგილობრივი მასმედიაც არ იაზიარებს აზრს, რომ 1 ადამიანს შეეძლო 14 შეიარაღებული ადამიანის მოკვლა, თან ისე, რომ მათ წინააღმდეგობაც ვერ გაეწიათ. ექსპერტების თქმით, ტექნიკურად ეს გამოცდილი სპეცრაზმელისთვისაც კი თითქმის შეუძლებელია. დამოუკიდებელი ექსპერტებიც და რიგითი მოქალაქეებიც ფიქრობენ, რომ ჩელახს ცრუ ჩვენების მიცემა აიძულეს, რათა ხელი დაეფარებინათ სხვა დამნაშავეებისთვის, რომელთა შორისაც ნარკოდილერები და ტერორისტები მოიაზრებიან.

ამ აზრს არ ეთანხმებოდა "31 არხის" აწ უკვე ყოფილი წამყვანი ვლად დლინოვი, რომელმაც უარი განაცხადა, ჩელახისთვის პირდაპირ ეთერში "დამნაშავე" ეწოდებინა და სამსახური დატოვა. თუმცა შემდეგ განაცხადა, რომ მისი განთავისუფლება პირდაპირ დაკავშირებული არ იყო "არკანკერგენის" ფაქტთან.

ამ ფაქტის შემდეგ ქვეყნის საზღვრის დაცვის სამსახურის უფროსმა ნურჟან მირზალიევმა გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. გარდა ამისა, დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს უშარალსკის სასაზღვრო რაზმ "შიგიცის" ხელმძღვანელიც.

ჩელახის ნათესავებმა მათთვის გამოყოფილ სახელმწიფო ადვოკატზე უარი განაცხადეს და კერძო ადვოკატის დასაქირავებლად სახსრების მოძიება დაიწყეს.

კამერონი ლევესონის კომისიამ დაკითხა

გუშინ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი ლევენსონის გამოძიებო კომისიის წინაშე წარდგა. მას, ძირითადად, მედიამაგნატ რუპერტ მერდოკთან და მის ახლობლებთან კავშირზე მოუწია პასუხების გაცემა.

როგორც ბრიტანელი პოლიტიკური კომენტატორები აღნიშნავენ, ეს ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოცდა იქნება პრემიერ-მინისტრისათვის.

მერდოკის ერთ-ერთი გაზეთის მიერ განხორციელებულ სატელეფონო მოსმენებთან დაკავშირებით ამ დროისათვის 50 ადამიანი ჰყავთ დაპატიმრებული და გაშვებული. საქმე ეხება ცნობილი, მათ შორის, პოლიტიკური ფიგურების, აგრეთვე დაღუპული ადამიანების სატელეფონო მოსმენებს, ელექტრონული ფოსტის წაკითხვასა და კორუფციას (პოლიციისგან სკანდალური ინფორმაციის ყიდვას).

წინასწარვე ცნობილი იყო, რომ კითხვები შეეხებოდა რებეკა ბრუკსთან (მერდოკის მედიაკორპორაციის ბრიტანული ფილიალის «ნიუს ინტერნეიშენალის» ყოფილი ხელმძღვანელი) კამერონის ურთიერთობას; ენდი კულსონის დაქირავებას (News of the World ის ყოფილი რედაქტორის მოადგილე) და BskyB-ის (ბრიტანეთის უდიდესი თანამგზავრული ტელევიზია) ირგვლივ შექმნილ სიტუაციას.

კამერონმა კატეგორიულად უარყო კონსერვატორებსა და News Corp-ს შორის შეთქმულების არსებობა, რომელსაც "უაზრობა" უწოდა. როგორც კამერონმა აღნიშნა, იგი რებეკა ბრუქსის მეგობარი 2008 წლამდე იყო. პრემიერმა ისიც განაცხადა, რომ მისი პარტიის მსგავსად, ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკოსებიც დაახლოებული იყვნენ მერდოკის მედიაიმპერიასთან.

ცნობისათვის, ლევენსონის გამოძიებამ დაადგინა, რომ ოპოზიციაში ყოფნის დროს კამერონი 19-ჯერ შეხვდა ბრუქსს, 15-ჯერ - ჯეიმს მერდოკს და ათჯერ - რუპერტ მერდოკს.

რებეკა ბრუკსსა და მის მეუღლეს ჩარლის სატელეფონო მოსმენებზე მიმდინარე გამოძიებისათვის ხელის შეშლაში ედებათ ბრალი. რებეკა ბრუკსს, საკუთარი სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე კარგი ურთიერთობები ჰქონდა წინა ორ პრემიერთან - ტონი ბლერთან და გორდონ ბრაუნთან.

მიწისძვრა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით

დღეს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით 5,5 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. აღნიშნულის შესახებ სტამბულის კანდილის ობსერვატორია იუწყება. ეპიცენტრი ერაყის საზღვართან ახლოს მდებარეობდა. ამ დროისათვის უცნობია, მოჰყვა თუ არა მიწისძვრას მსხვერპლი და ნგრევა. გასული წლის ოქტომბერში თურქეთის აღმოსავლეთით, ვანის პროვინციაში მომხდარ 7,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრას 600 ადამიანი ემსხვერპლა.

მოამზადა თამთა კახაძემ

სამხედრო ინტერვენციის საფრთხე სირიაში

პირველი გვერდიდან

სირიის გამო სულ უფრო გამწვავდა ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის. ერთმანეთის მიმართ ბრალდებებიც გაისმა, რაც ექსპერტებს ორი ქვეყნის ურთიერთობებში სერიოზული კრიზისის მორიგ ტალღაზე მიანიშნებს. რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ოფიციალური მოსკოვი ლიბიის მაგალითის გათვალისწინებით ვაშინგტონთან დათმობებზე აღარ წავა და მხარს სამხედრო ინტერვენციას არ დაუჭერს. **"საკითხი პრინციპულად დგას. მას შემდეგ, რაც კრემლმა მიიჩნია, რომ იგი ლიბიის ომის დროს გააცურეს და სანქციებზე დაითანხმეს, ამ ანკეს მოსკოვი აღარ წამოეგება. კომპრომისი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ნაკლებად სავარაუდოა. პრეზიდენტის პოსტზე კვლავ პუტინის მოსვლის შემდეგ ამერიკულ-რუსული ურთიერთობები გაუარესდა. ყველაფერი ობამა-პუტინის შეხვედრის შემდეგ გაირკვევა"**, - აცხადებს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი სერგეი ოზნობიშევი.

დამასკოში აფეთქებული ავტობუსი

თუ ზოგიერთი პოლიტოლოგი მორიგების შანსებს სირიის კონფლიქტის დასრულების გზებზე 50/50-ზე აფასებს, არიან ისეთებიც, ვინც კომპრომისს საერთოდ გამორიცხავს და შექმნილ მდგომარეობას ჩიხს უწოდებს. რუსეთი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ იგი სირიას სამხედრო ვერტმფრენებს არ აწვდის, სამაგიეროდ, თავად ვაშინგტონი ამარაგებს სპარსეთის ყურის ქვეყნებს იარაღით, მათ შორის არსენალს არც სირიელი ამბოხებულებისთვის იშურებს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ თეირანში გაკეთებული საბრალდებო განცხადებას ჰილარი კლინტონი გამოეხმაურა, რომელმაც ლავროვს კამათზე უარის თქმა და მეტი დაფიქრება ურჩია. **"ამერიკის შეერთებული შტატები სირიის ოპოზიციას არავითარ იარაღს არ აწვდის. ჩვენ იქ ჰუმანიტარულ დახმარებასა და მედიკამენტებს ვგზავნით, რათა სირიელ ხალხს დავეხმაროთ. ჰუმანიტარული ტვირთის ღირებულებამ უკვე 52 მილიონი დოლარი შეადგინა. ჩვენ სირიაში ასევე გავგზავნეთ არასამხედრო დახმარება, მათ შორის, საკომუნიკაციო მოწყობილობები. ასე რომ ჩემ რუს კოლეგასთან კამათს, რომელთანაც მუდმივად განვიხილავთ სხვადასხვა პრობლემას, სჯობს კიდევ ერთხელ მოვუწოდო კოფი ანანის გეგმის მხარდაჭერისა და სირიის მოქმედ რეჟიმზე ზეწოლის გაძლიერებისკენ"**, - განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

საკმაოდ მძაფრი განცხადებების მიუხედავად, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში მიიჩნევენ, რომ მოსკოვი-ვაშინგტონის პირველ დიპლომატთა კამათი უარყოფითად არ იმოქმედებს ორი ქვეყნის ურთიერთობებზე. **"ქალბატონ კლინტონსა და ბატონ ლავროვს კონსტრუქციული ურთიერთობა აქვთ. ისინი ხშირად საუბრობენ სხვადასხვა საკითხზე და საკუთარ პოზიციებს ღიად გამოხატავენ. სახელმწიფო მდივანიც არ მალავს თავის შეშფოთებას სირიაში მიმდინარე პროცესების გამო, რაც ვფიქრობ, დიპლომატიური დაპირისპირების მიზეზი არ უნდა გახდეს"**, - აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა ვიქტორია ნულანდმა.

საგანგებო პრესკონფერენცია მოსკოვში გამართა რუსეთში სირიის ელჩმა რიად ჰადადმაც, რომელმაც ასადის რეჟიმის მხარდაჭერა ოფიციალური მოსკოვის მხრიდან უარყო. **"ჩვენ ბატონი ლავროვისგან უკვე მოვისმინეთ განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსეთი სირიას იარაღს მრავალი წლის წინ გაფორმებული კონტრაქტის შესაბამისად აწვდის. ეს იარაღი საჰაერო თავდაცვისთვუს არის განკუთვნილი და იგი სანქციებით არ არის აკრძალული"**, - განაცხადა რუსეთში სირიის ელჩმა. მისი თქმით, სირიაში სამოქალაქო ომი კი არა შეიარაღებული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს, რომლებიც ტერორიზმის გზას დაადგნენ. **"მათ ზურგს მსოფლიოს უმსხვილესი სახელმწიფოები უმაგრებენ, რომლებიც დიდ თანხებს იხდიან თავიანთი გეგმების შესასრულებლად. სირიის ხალხმა მიიღო გადაწყვეტილება წინ აღუდგეს ამ შეთქმულებას. უცხოელები სამოქალაქო ომზე საუბრობენ, რაც რეალურად მხოლოდ მათ უტრიალებთ თავებში. დასავლეთის მხრიდან სამოქალაქო ომზე საუბარი და ბუფერული ზონების შექნისკენ მოწოდება მხოლოდ იმას ემსახურება, რომ გზა გაიხსნას საგარეო ინტერვენციისთვის"**, - განაცხადა რიად ჰადადმა.

სირიის წინააღმდეგ კი სანქციების გამკაცრება უკვე მოითხოვა ოფიციალურმა პარიზმა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ კონფლიქტის ორივე მხარე კოფი ანანის გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს, არ უნდა გამოირიცხოს სამხედრო ჩარევის შესაძლებლობა. ამ საკითხს ფრანგული ხელისუფლება ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტერიალზე წამოაყენებს, ერთ-ერთ ვარიანტად კი პარიზი სირიის თავზე არასაფრენი ზონის გახსნას განიხილავს.

სამხედრო ინტერვენციას საუკეთესო გამოსავლად შექმნილ მდგომარეობაში არ მიიჩნევს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი.

მანამდე, ვიდრე საერთაშორისო საზოგადოების აზრი გაყოფილია შეიარაღებული კონფლიქტის რეგულირების გზებზე, დიდი სახელმწიფოების მესვეურთა მიდგომები კი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, სირიაში მჭიდროდ დასახლებული პუნქტების დაბომბვა გრძელდება. ასადის არმიის მოქმედებას და შეიარაღებულ ამბოხებულთა წინააღმდეგობას არამარტო სამხედრო პირები, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის ქალები და ბავშვები ეწირებიან. ბოლო დროს სულ უფრო გახშირდა თავდასხმები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიაზეც, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა ქვეყანაში არსებული ვითარების აღწერა და მათი დახმარება, ვისაც მატერიალური, მორალური თუ ფიზიკური ზიანი მიადგა 15 თვიანი ამბოხის შედეგად. არ კლებულობს ასევე ქვეყნიდან გაქცეულთა რაოდენობაც. ბოლო დღეღამის განმავლობაში თურქეთს 2 000 ლტოლვილმა მიაშურა. იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაწილი კი თავს ლიბანსა და იორდანიას აფარებს, სადაც იტალიამ გუშინ ჰუმანიტარული ვტირთიც გაგზავნა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, გასული წლის მარტში დაწყებულ ამბოხს და მისი ჩახშობის მცდელობას დღემდე სირიაში 10 ათასზე მეტი ადამიანი შეეწირა.

ტუნისში რადიკალი ისლამისტები გააქტიურდნენ

გადაყენებულ პრეზიდენტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

ტუნისში ექსპრეზიდენტ ზინ ალ-აბედინ ბენ ალის კიდევ ერთი სასამართლო პროცესი გაიმართა, რომელზეც ის დამნაშავედ სცნეს 2011 წლის იანვრის აჯანყებულების მკვლელობაში მონაწილეობისთვის და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მანამადე სასამართლომ ექსპრეზიდენტს 35 წელი მიუსაჯა ფულის გაფლანგვის ბრალდებით, 15 წელი - იარაღისა და ნარკოტიკის შენახვისთვის, 16 წელი - კორუფციისა და თაღლითობისთვის, ასევე 5 წელი - ტუნისელი ოფიცერების წამებაში მონაწილეობისთვის. გარდა ამისა, მას ბრალად ედებოდა "2011 წლის რევოლუციის დროს ძალადობის და არეულობის " ხელშეწყობა, ტუნისის ქალაქ უარდაინში, საიდანაც პოლიცია მისი ძმისშვილის გაპარებას ცდილობდა. ამას იმ 4 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რომლებიც ამ ოპერაციის ჩაშლას ცდილობდნენ. ოპერაცია მართლაც ჩაიშალა და პრეზიდენტის ძმისშვილი კაის ბენ ალი ახლა უკვე სასჯელს ტუნისის ციხეში იხდის. ამ მოვლენების შედეგად ექსპრეზიდენტს სასამართლომ კიდევ 20 წელი მიუსაჯა, რაც საბოლოო ჯამში შეიკრიბა და 90 წლით თავისუფლების აღკვეთა გამოვიდა. ყველა სასჯელი მას დაუსწრებლად შეუფარდეს, რადგან რევოლუციის შემდეგ საუდის არაბეთში გაიქცა.

შეტაკება ისლამისტებთან

ძირითადი ეპიზოდი, რომელიც სასამართლოზე ამჯერად განიხილებოდა იყო - ანტისამთავრობო გამოსვლები ქალაქ თხალასა და სასერინში, სადაც 22 ადამიანი მოკლეს. სასამართლომდე ერთი დღით ადრე კი ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს რაფიკ ბელხაჟ კასიმს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ბენ ალისთან დაკავშირებით პროკურატურა სასიკვდილო განაჩენს მოითხოვდა.

ექსპრეზიდენტის სასამართლო პროცესი ტუნისში საკმაოდ მძიმე ფონზე მიმდინარეობდა, რადგან რევოლუციის შემდეგ სიტუაცია ქვეყანაში საკმაოდ დაიძაბა.

ისლამისტი ექსტრემისტები, რომლებიც იკრძალებოდნენ ბენ ალის პრეზიდენტობის დროს, ნელ-ნელა პოზიციებს იმყარებენ. მაგალითად, სალაფიტები, რომლებიც ისლამის რადიკალურ ფრთას განეკუთვნებიან, არასდროს არ იყვნენ განსაკუთრებულად ძლიერები ტუნისში, თუმცა ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მართავენ აქციებს. მაისის ბოლოს მათ დაარბიეს მაღაზიები, რომლებიც ალკოჰოლს ყიდდნენ. რამდენი დღის წინ კი რადიკალებმა მრავალრიცხვოვანი აქცია მოაწყვეს. ამის მიზეზი გახდა "მხატვრული გაზაფხული", სადაც გამოფენილ ზოგიერთი ტილო რადიკალებმა მკრეხელობად მიიჩნიეს. განსაკუთრებული აგრესია გამოიწვია სურათმა, სადაც სიტყვა "ალაჰი" ჭიანჭველებისაგან იყო აწყობილი, ასევე აღშფოთება გამოიწვია ტილოზე გამოსახულმა შიშველმა ქალმა. აღშფოთებულმა ექსტრემისტებმა რამდენჯერმე სცადეს გამოფენის შტურმით აღება და საბოლოოდ აიღეს კიდეც, რის შემდეგაც ყველა "შეურაცხმყოფელი" სურათი გაანადგურეს.

გარდა ამისა, ასობით მეამბოხე ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში თავს დაესხა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, პოლიციის განყოფილებებს, სასამართლო დაწესებულებებსა და პროკურატურას. რადიკალების და პოლიციის დაპირისპირების შედეგად დაიღუპა ერთი და დაშავებულია 100-მდე ადამიანი, მათ შორის, 65 პოლიციელი. დედაქალაქსა და 7 პროვინციაში კომენდანტის საათი გამოცხადდა.

ტუნისის ხელისუფლების თქმით, არ არის გამორიცხული, რომ "ტერაქტებსა" და "აჯანყებებს " კავშირი ჰქონდეთ "ალ კაიდასთან". ამაზე ისიც მიუთითებს, რომ გამოსვლები დაიწყო "ალ კაიდას" ლიდერის აიმან აზ-ზავახირის ვიდეომიმართვის შემდეგ. მან ტუნისელებს მოუწოდა, რომ მათ "ნამდვილი ისლამისთვის" ებრძოლათ.

ამდენად, ტუნისი, რომელიც მიიჩნეოდა ერთადერთ არაბულ ქვეყნად, რომელსაც შეეხო "არაბული გაზაფხული" და სადაც რევოლუცია შედარებით უმტკივნეულოდ ჩატარდა, შესაძლოა, მეზობელი ლიბიის კვალს გაჰყვეს, სადაც ფარული სამოქალაქო ომი მიმდინარეობს, ან დესტაბილიზირებული ეგვიპტის ბედი გაიზიაროს.

"ცისფერსისხლიანი" ოლიმპიელები

მართალია, სპორტული სამყარო ევრო 2012-ით არის დაკავებული, მაგრამ სულ მალე დაიწყება 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშებიც. მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს ბრიტანეთის დედოფლის შვილიშვილი ზარა ფილიპსი. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ "გვირგვინოსანი" ოლიმპიელები.

ფრიდრიხ კარლი (გერმანია)

სპორტის სახეობა: ცხენოსნობა

გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ მეორის 19 წლის ძმისშვილი 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებში ცხენოსნობის ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო. იმ წელიწადს ცხენოსნობის ტურნირში მრავლად იყვნენ სამეფო გვარის წარმომადგენლები. ბრინჯაოს პრიზიორ ფრიდრიხ კარლის გარდა, ტურნირში მონაწილეობდა რუსეთის იმპერატორ ალექსეი მეორის შვილიშვილი. დიდი მთავარი დმიტრი პავლეს ძე რომანოვი სპორტული მიღწევებით როდია სახელგანთქმული. 1912 წლის ოლიმპიური თამაშებიდან ის უმედლოდ დაბრუნდა, თუმცა, ისტორიაში იმით შევიდა, რომ გრიგორი რასპუტინის მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა.

კონსტანტინ მეორე (საბერძნეთი)

სპორტის სახეობა: აფროსნობა

1960 წელს ის ჯერ საბერძნეთის მეფე არ იყო. კონსტანტინ მეორე ოლიმპიური თამაშებიდან ოთხ წელიწადში ავიდა ტახტზე. მან "დრაკონის" კლასში ოქროს მედალი მოიგო. მოგვიანებით ეს სახეობა ოლიმპიური თამაშებიდან საერთოდ ამოიღეს. თავად მონარქი კი დევნილობაში აკურთხეს "მეფედ". საბერძნეთში მომხდარი არეულობის შემდეგ ის ჯერ რომში გაიქცა, შემდეგ კი - ლონდონში.

მარკ ფილიპსი (დიდი ბრიტანეთი)

სპორტის სახეობა: ცხენოსნობა ერთი რიგითი ბრიტანელი სწორედ ცხენოსნობის წყალობით შეუერთდა სამხედრო სამეფო გვარს. საქმე ის არის, რომ ბრიტანეთის პრინცესა ანაც გატაცებულია ცხენოსნობით. მარკმა სწორედ ცხენოსნობის წყალობით გაიცნო ანა, 1971 წელს კი მათი ნიშნობა გაიმართა. მართალია, უინძორები ამ ქორწილის წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ ელისაბედ მეორის ქალიშვილი მარკ ფილიპსს მაინც გაჰყვა ცოლად. 1972 წელს ბრიტანეთის სამეფო გვარის სიძემ მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიგო.

მარკმა, როგორც სამეფო გვარის სიძემ, კუთვნილ ტიტულზე უარი განაცხადა. 1988 წელს სეულში ვერცხლის მედალი მოიგო, ოთხი წლის შემდეგ კი ანას ოფიციალურად დაშორდა. თავად ანაც მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში. მისი მაქსიმალური შედეგი 24-ე ადგილია. ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მარკისა და ანას 31 წლის ქალიშვილი ზარა ფილიპსი გამოვა.

ინიაკი ურდანგარინი (ესპანეთი)

სპორტის სახეობა: ხელბურთი

ცნობილი ხელბურთელის სრული სახელი ასე ჟღერს: "მისი აღმატებულება დონ ინიაკი ურდანგარინი ლიბარტი, პალმა დე მალიორკას ჰერცოგი, ესპანეთის გრანდი". უფრო გასაგებად კი, ინიაკი ესპანეთის მეფის ხუან კარლოსის ქალიშვილზეა დაქორწინებული.

კოლორიტულ ორმეტრიან ბასკს სამეფო გვართან დაახლოებამდეც კარგად იცნობდნენ ესპანეთში. გასული საუკუნის 90-იან წლებში ურდანგარინი არა მარტო სახელბურთო "ბარსას" სიმბოლო იყო, არამედ მთელი ესპანეთის ნაკრებისაც.

ინიაკის აქტივში სამ ოლიმპიურ თამაშებზე მოგებული ორი ბრინჯაოს მედალია. მათგან ერთი სიდნეიში, სამეფო გვარის წევრის რანგშია მოპოვებული. ინიაკის მეუღლე კრისტინაც ოლიმპიელია. მეტიც, სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ხუან კარლოსის ქალიშვილს ესპანეთის ნაკრების მედროშეობა ანდეს. კრისტინა აფროსნობაში მონაწილეობდა და "ტორნადოს" კლასში მეოცე ადგილი დაიკავა. 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებზე კი აფროსნობაში ხუან კარლოსმაც მიიღო მონაწილეობა და მეთხუთმეტე ადგილი დაიკავა.

ულაფ მეხუთე (ნორვეგია)

სპორტის სახეობა: აფროსნობა

გლუკსბურგების დინასტია 1905 წელს ავიდა ნორვეგიის სამეფო ტახტზე. ამ გვარის წარმომადგენლები აფროსნობას უდიდეს პატივს სცემდნენ. ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ბერძენი კონსტანტინ მეორე ამ გვარის ბერძნული შტოს წარმომადგენელია. 1928 წელს ულაფი ჯერ მხოლოდ ტახტის მემკვიდრე იყო. ამსტერდამში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე მან ოქროს მედალი მოიგო.

ულაფის მემკვიდრე ჰარალდი, მამის დარად, ოლიმპიელი გახდა და სამ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა (ტოკიო 1964, მეხიკო 1968, მიუნხენი 1972), თუმცა, მამისგან განსხვავებით, მედალი არ ღირსებია. სამაგიეროდ ჰარალდმა სიმსივნე დაამარცხა და 2005 წელს, 65 წლის ასაკში, ევროპულ რეგატაში მიიღო მონაწილეობა.

პრინცესა ნატალი (დანია)

სპორტის სახეობა: ცხენოსნობა

პრინცესა საინ-ვიტგეინშტეინ-ბელრებურგელი ან, უბრალოდ, დანიის დედოფალ მარგარიტას დისშვილი ცხენოსნობით ბავშვობიდან იყო გატაცებული. ამ გატაცებამ ნატალი ოლიმპიურ მედლამდე მიიყვანა. 2008 წელს, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე, ნატალიმ ბრინჯაოს მედალი მოიგო.

მას შემდეგ, რაც ნატალი დედა გახდა, ცხენოსნობაზე უარი თქვა, თუმცა, სერიოზულად ჩაერთო ცხენების ბიზნესში.

ალბერ მეორე (მონაკო)

სპორტის სახეობა: ბობსლეი

როდესაც სამეფო გვარის ოლიმპიელებზე ვსაუბრობთ, ცხადია, მონაკოს მთავარი ალბერ მეორე ცალკე უნდა დავახასიათოთ. ის სპორტის დიდი ქომაგია. მის სპორტულ გატაცებებს კი ბოლო არ უჩანს. ოლიმპიურ თამაშებში ალბერმა ხუთჯერ მიიღო მონაწილეობა (კალგარი 1988 - სოლტ ლეიკ სიტი 2002), ხუთივე ოლიმპიადაზე ალბერი ბობსლეიში ცდიდა ბედს. საუკეთესო შედეგი - 23-ე ადგილი მან თავის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე, კალგარიში აჩვენა. ბობსლეის გარდა, ის გატაცებულია ფეხბურთით, ძიუდოთი, ცურვით. მონაწილეობდა პარიზ-დაკარის რბოლაში, იმოგზაურა ჩრდილო პოლუსზე.

ამავე დროს მონაკოს მთავარი ბევრ სპორტულ ღონისძიებას აფინანსებს. მოკლედ, ალბერი სპორტთან პირდაპირ კავშირშია.

როგორც ხედავთ, აქცენტი ევროპელებზე გავაკეთეთ, თუმცა, ოლიმპიური თამაშები არც აზიელი დიდგვაროვნებისთვის არის უცხო. ბრუნეის სულთნის უმცროსი ძმა, ერთ დროს მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი, ამჟამად კი გაკორტებული პრინცი ჯეფრი ბოლკიაჰი 1996 და 2000 წლების ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა. სტენდზე სროლაში ის 50-ეულშიც კი ვერ შევიდა. პრინცესა ჰაიე იორდანიის მეფე ჰუსეინის მესამე ქალიშვილი და გაერთიანებული არაბეთის საემიროების პრემიერის შეიხ მუჰამედის ერთ-ერთი ცოლია. ის 2000 წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა, თუმცა, კონკურში (ცხენოსნობის სახეობა) საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ დაძლია.

ფიფა-მ აფხაზეთთან დაკავშირებით თავისი პოზიცია გამოხატა

დაახლოებით ერთი თვის წინ რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზებმა ფიფას ამხანგური მატჩების გამართვის თხოვნით მიმართეს. ცხადია, ამას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რეაქცია მოჰყვა.

მიმდინარე წლის 25 მაისს სფფ-მ ოფიციალური წერილით მიმართა ფიფას პრეზიდენტს, იოზეფ ბლატერს, რომელშიც მკაფიოდ გამოხატა ქართული მხარის პოზიცია; ქართული მხარე მთლიანად გამორიცხავს საქართველოს რეგიონის - აფხაზეთის ფიფას იურისდიქციაში შესვლას და ამ რეგიონის ნაკრების მიერ ფიფას ეგიდით საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობას.

წერილს ფიფას უმაღლესი პირების რეაქცია მოჰყვა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოვიდა ფიფას გენერალური მდივნის ჟერომ ვალკეს საპასუხო წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ფიფას ამ დროისთვის "აფხაზეთის რესპუბლიკისგან" არავითარი ოფიციალური განაცხადი საერთაშორისო მატჩების ჩატარებასთან დაკავშირებით არ მიუღია.

წერილში აღნიშნულია, რომ კოსოვოს შემთხვევა, რომლითაც აფხაზური მხარე ხშირად აპელირებს, რადიკალურად სხვა გარემოებაა, არ არის აფხაზეთის საქმის ანალოგი და ფიფას მიერ იდენტური გადაწყვეტილების მისაღებ მაგალითად არ გამოდგება.

კრიშტიანუს მესი გაახსენდა

დანიისა და პორტუგალის ნაკრები გუნდების მატჩის დროს საკმარისი იყო კრიშტიანუ რონალდუს ბურთი მიეღო და სკანდინავიელი ფანები ლეო მესის სახელის სკანდირებას იწყებდნენ. მოგებული თამაშის შემდეგ კრიშტიანუმ პრესკონფერენციაზე ლიონელ მესი გაიხსენა.

"შემახსენეთ, გასულ წელს ამ დროს სად იყო? თუ არ ვცდები, სამშობლოში, "კოპა ამერიკაზე" თამაშობდა და ბევრი ვერაფერი გააკეთა", - ციტირებს რონალდუს სიტყვებს სააგენტო goal.com.

"ჩელსის" დი მატეო გაწვრთნის

როგორც მოსალოდნელი იყო, რობერტო დი მატეო "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ოფიციალურად დაინიშნა. იტალიელმა სპეციალისტმა ლონდონურ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გასულ სეზონში დი მატეო მხოლოდ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა და ამ რანგში ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

"მოხარული ვარ, რომ კლუბმა ნდობა გამომიცხადა. გასულ სეზონში ჩვენ დაუჯერებელ წარმატებას მივაღწიეთ - ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ. ახლა დროა, მუშაობა განვაგრძოთ და გულშემატკივრები გავახაროთ. დარწმუნებული ვარ, გამოგვივა", - აბობს დი მატეო.

რობენს გერმანიის იმედი აქვს

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი არიენ რობენი აცნობიერებს, რომ მისი გუნდი რთულ მდგომარეობაშია, მაგრამ დანებებას არ აპირებს და იმედი აქვს, რომ გერმანია დანიას მოუგებს.

ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასასვლელად ჰოლანდიამ პორტუგალიას ორბურთიანი სხვაობით უნდა მოუგოს, მაგრამ ვან მარვიიკის გუნდის წარმატებისთვის ასევე საჭიროა, რომ გერმანიამ დაამარცხოს დანია.

"ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს. ამისთვის საჭიროა, რომ პორტუგალია ორი ბურთით დავამარცხოთ, ხოლო გერმანიამ დანიას მოუგოს. გერმანელებმა სპორტული ფეარ ფლეის წესები უნდა დაიცვან და დანიელებს სძლიონ".

რედნაპმა "ტოტენჰემი" დატოვა

ჰარი რედნაპი და ლონდონის "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობა კონტრაქტის გახანგრძლივების პირობებზე ვერ შეთანხმდნენ და 65 წლის მწვრთნელმა თანამდებობა დატოვა.

როგორც ამბობენ, რედნაპი ახალი კონტრაქტის თაობაზე კლუბის მფლობელს ვერ შეუთანხმდა.

კლუბის ოფიციალურ საიტზე გავრცელებულ კომენტარებში რედნაპი და ლევი ერთმანეთზე მხოლოდ კარგ სიტყვებს ამბობენ, მაგრამ ბრიტანული პრესა სერიოზულ შეუთანხმებლობაზე საუბრობს. მოკლედ, რედნაპი შემადგენლობის გაძლიერებას ითხოვდა, პრეზიდენტი კი უკმაყოფილო იყო იმით, რომ გუნდი ვერ მოხვდა მომავალ ჩემპიონთა ლიგაზე.

სერფინგით გადალახული ლა მანში

ფრანგმა კაიტსერფერმა (კაიტსერფინგი არის სპორტის სახეობა, როდესაც სპორტსმენი ერთგვარი პარაშუტის საშუალებით მართავს სერფინგს) ბრუნო სკორამ ლა მანშის სრუტე 5 საათში გადალახა. ეს ახალი მსფოლიო რეკორდია. წინა რეკორდი დამყარდა 2004 წელს და ის ეკუთვნის მანუ ბარტინს (5 საათი და 20 წუთი).

რეკორდმა რვა წელიწადს გაძლო. ლონდონის ოლიმპიური თამაშების მოახლოებასთან დაკავშირებით სკორამ ამ რეკორდის დამხობა ისურვა.

"მიხარია, რომ რეკორდი დავამყარე და დავამტკიცე, რომ კაიტსერფინგისთვის მხოლოდ პლაჟები როდია გამოსადეგი", - ამბობს სკორა.

ფრანგ კაიტსერფერს ცოტათი არ გაუმართლა. მეტეოროლოგიური პირობები მთლად კარგი არ იყო. პერიოდულად ტალღების სიმაღლე სამ მეტრს აღწევდა და ძლიერი ქარი უბერავდა.

იტალიურად

პირველი გვერდიდან



მანჯუკიჩმა გაათანაბრა

ჩეზარე პრანდელი ნაკრებში რობერტო დონადონიზე უფრო სუნთქავს, უკომპლექსოდ, თავისუფლად მუშაობს.

ხორვატია მშვიდად აკეთებს საქმეს. ესპანეთი ამ ჯგუფში მიკ ჯაგერის ბენდია. სულ ჰედლაინერი და მთავარი ჯგუფია. ინიესტები და დანარჩენი გენიოსები ბურთს ეფერებიან. იტალიამ ბურთთან ცოტა ცივად ძმაკაცობა ისწავლა და იშვიათად აზროვნებს არასტანდარტულად, არაიტალიურად. ბოლო არაიტალიური ნაკრები ადრე (1978), არგენტინაში რომ მსოფლიო იყო, იქ ერთობოდა. ის იტალია არ მახსოვს და ვისაც ახსოვს, პაოლო როსის და დანარჩენი კარგი ბიჭების გახსენებით ისვენებს.

ესპანეთთან იტალიამ დაცვა გაშალა, პერიმეტრზე დაალაგა, ფავორიტს დისკომფორტი შეუქმნა. იმ დაცვაში დე როსი ცენტრში იდგა და ახალ პოზიციაზე სოლიდურად, იტალიურად გააკეთა საქმე. ჯიუტ ბიჭთან იქვე ტრიალებდნენ ჯორჯო კიელინი და სენიორ ბონუჩი. "იუვენტუსის" დობერმანები. ესპანეთმა ერთხელ გადაჭრა ცენტრი და შეასრულა.

ერთი შეცდომა დაუშვა იტალიამ ხორვატიასთანაც. 90 წუთში 1. კიელინიმ დაკარგა პოზიცია და მანჯუკიჩმა ამ ევროზე მესამე გოლი დაირტყა. ხორვატი უკვე ძაგოევის და გომესის ლიგაშია.

ჯანლუიჯი ბუფონი საკუთარ ტერიტორიაზე ყველაფერს აბალანსებს, იუმორით, პოზიტივით აკეთებს საქმეს. ესპანეთთან ორი სერიოზული სეივი გააკეთა და ხორვატიასთან რაც გაუშვა, ვერ აიღებდა. ბუფონი კუთხის დაკეტვას ვერ ასწრებდა და კიელინი იტალიელმა ბიჭებმა ვერ დააზღვიეს. ხორვატიამ ის ერთი დასვა და დარჩენილ დროში იტალიას ერთნახევარი მომენტი ჰქონდა. არ გამოვიდა და ხორვატია ბოლო ტურის წინ, ესპანურ ვუდსტოკზე გადის. ან, ესპანურ ვუდსტოკზე მიდის. უკეთესი ჯაზმენებისგან უკეთესი ჯაზის მოსასმენად. ესპანეთი დღეს ფეხბურთის ჯაზია. სრული კომფორტისთვის სენიორ დელ ბოსკეს ის არგენტინელი ონავარი აკლია.

მანჯუკიჩმა და იელავიჩმა ირლანდიასთან ბევრ დროში ბევრი მოასწრეს. იტალიასთან ცოტა სხვა საუბარი წავიდა. უფრო უხეში, მეტი გარჩევით და მეტი ფოლით. კონტაქტური სერიალი თითო ქულის წაღებით დაიხურა. ხორვატია კმაყოფილია. იტალია ტურნირს იტალიურად, ბოლო ტურში ჯეკპოტის მოხსნის სურვილით ამთავრებს. როგორც ხდება ხოლმე. წინა ევროპაზეც იგივე ამბები წავიდა.

ის ტურნირი დონადონის გუნდმა ჰოლანდიასთან 0:3 გაუგებრობით გახსნა. ჰოლანდიამ დევიდ გილმორის აკორდები აიღო. იტალია ერთცენტიანი რეპი იყო. შემდეგი თამაში რუმინეთთან მოდის. იტალია ბუფონმა მოიყვანა აზრზე. მეკარეების მოცარტმა ბოლო წუთებზე პენალტი აიღო და 1:1. მესამე თამაში - საფრანგეთთან. თან, რუმინეთმა ჰოლანდიასთან უნდა წააგოს. ანდრეა პირლომ საფრანგეთს 11 მეტრიდან აკოცა და დე როსიმ ლამაზად შეასრულა საჯარიმო. პირლოზე ლამაზად. იტალიამ 2:0 დასვა. რუმინეთმაც 0:2 დასვა და იტალია მეოთხედფინალში ესპანეთზე გავიდა. იმ გარჩევაში დონადონის ბანდამ პენალტებში ვერ გაქაჩა.

პირლომ ხორვატიასთან პატარა შედევრი დატოვა. საჯარიმოდან. მოხუცი პლეტიკოშა უშანსოდ რჩება. პლეტიკოშა კარგი იყო და იმ მომენტში ვერ იბუფონა.

ესპანეთის შემდეგ ეს იტალია ბევრს მოეწონა. მოსაწონი მოეწონა. ხორვატიასთან მძიმე, პასიური და არითმიული თამაშით იტალია ძველი, იტალიური იტალიაა. მარიო ბალოტელი ამ ნაკრებში დიდი დოზით ნდობას იღებს და ანტონიო დი ნატალე 90 წუთს ვერ ქაჩავს. ხდება ხოლმე.

კიელინი ამ იტალიაში თითქმის კლაუდიო ჯენტილეა. ჯორჯო ნაღდი იტალიელია. მეგობრული, ქალაქური გამოხედვით, ძალიან კარგი, საიმედო დაცვით. კიელინი ნაკრებში რჩება და ეს დიდი ხნის პერსპექტივაა. უბრალოდ, თუ შენი გუნდის ყველაზე საიმედო მცველი იაღლიშს უშვებს, დამზღვევი იქვე უნდა იყოს. ხორვატიასთან ეს არ გამოვიდა.

ამ ევროგარჩევებში იტალია ისევ იტალიურად სეირნობს. ცოტა დინჯად, ცოტა მოუქნელად და იტალიურად. ესპანეთთან ცისფერი გუნდის მოძრავი ბიჭები ესპანელებივით დაქროდნენ და რაღაც მომენტში, იტალია ესპანეთზე ესპანეთი იყო. ხორვატიასთან უკვე პირველი ნომრიდან თამაში უნდა წასულიყო და იტალიამ იტალიურად ირბინა. მინიმალური რისკი, მაქსიმალური სიფრთხილე და აბადოკების ბევრჯერ, ნაზად გასწორება. ხორვატიაც იტალია იყო. ერთი შეცდომით მთელი ეს ამბავი მორჩა ისე, როგორც დაიწყო.

ჩეზარე პრანდელი ნაკრებში რობერტო დონადონიზე უფრო სუნთქავს, უკომპლექსოდ, თავისუფლად მუშაობს.

უბრალოდ, პრანდელის რაღაცეებში არ გაუმართლა. თუნდაც იმაში, რომ მოუქნელი და უინტელექტო მარიო ბალოტელი პირველ თერთმეტ კაცში ჰყავს. იტალია ბოლო ტურში რობი კინის ძმაკაცებს ხვდება. საინტერესო ამბები წავა.

ოთხი წლის წინ, ჰოლანდიამ იტალიას საჭირო საჩუქარი გაუკეთა, რუმინეთს მოუგო. ამ ევროზეც თითქმის იდენტური სიტუაცია მოდის. იტალიამ უნდა მოიგოს და ხორვატია ესპანურ ტყეში უდნა დაიკარგოს.

და იტალია ჯგუფიდან გავა.

როგორ გადის ხოლმე, იტალიურად.

⊂ ჯგუფი

იტალია-ხორვატია 1:1

გოლები: 1:0 პირლო (39), **1:1 მანჯუკიჩი** (72)

ვარშავაში რუსები რუსებისგან შველას ითხოვენ

გიგა გურასაშვილი

ვარშავაში, ევრო 2012-ზე მყოფი რუსი გულშემატკივრების ჯგუფი რუსულ ავიაკომპანიას მიმართავს თხოვნით, "სიცოცხლისთვის სახიფათო" ვითარების გამო ვადაზე ადრე დააბრუნონ სახლში, - ავიაკომპანია "ბელავიას" გენერალური დირექტორის მოადგილეზე, იგორ ჩერგინცზე დაყრდნობით აცხადებს "ინტერფაქსი".

ჩერგინცის თქმით, ავიაკომპანიას "რუსმა გულშემატკივრებმა მიმართეს თხოვნით, უკან დასაბრუნებელი ბილეთები ადრეულ თარიღზე გადაუცვალონ, რადგან შიშობენ, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. მათ ერთ ნაწილს ეტყობა ცემის კვალი".

რამდენმა გულშემატკივარმა ისურვა ვარშავიდან დროზე ადრე შინ დაბრუნება, ავიაკომპანიის წარმომადგენელი არ აზუსტებს. მხოლოდ იმას ამბობს, რომ ასეთთა რიცხვი დიდია. თან, იქვე დასძენს, რომ გადაფრენის ვადებში გარკვეული შესწორებები შეიტანეს.

სამშაბათს, რუსეთისა და პოლონეთის მატჩამდე, რუსმა გულშემატკივრებმა ერთგვარი მსვლელობა მოაწყვეს ვარშავის ეროვნული სტადიონისკენ. მსვლელობისას რუს და პოლონელ გულშემატკივრებს შორის მოხდა შეტაკება. ხულიგანთა დასაშლელად ვარშავის პოლიციამ ჰაერში რამდენჯერმე ისროლა და წყლის ჭავლიც გამოიყენა. შეტაკებები მატჩის შემდეგაც გაგრძელდა, რაც 184 ადამიანის, მათ შორის, 25 რუსის დაკავებით დასრულდა.

ვარშავის სასამართლომ რამდენიმე საფეხბურთო ხულიგანს განაჩენი გამოუტანა.

"როიტერის" ცნობით, რვა პოლონელს, რომელიც რუს გულშემატკივართა კოლონას დაესხა თავს, სხვადასხვა სახის განაჩენი გამოუტანეს. მეამბოხეთა ერთ ნაწილს ჯარიმის სახით 100 ევრო დაეკისრა, მეორე ნაწილი კი 3-დან 12 თვემდე პირობით სასჯელს მოიხდის.

ვარშავის სასამართლო, პოლონეთ-რუსეთის მატჩამდე და მატჩისშემდგომი არეულობების გარდა, განიხილავს რუსეთ-ჩეხეთის მატჩის დროს მომხდარ ინციდენტებსაც, როდესაც რუსმა გულშემატკივრებმა გამოიყენეს პეტარდები და დაუშვებელი შინაარსის მქონე ბანერები გამოფინეს.

"ჩვენ, ყველანი, უნდა დავფიქრდეთ. ევროპაში გასულები ვაწყდებით ნორმალურ საკანონმდებლო ველს, როგორსაც არ ვართ მიჩვეული. შეიძლება მთლიანად დავკარგოთ ფეხბურთი. პროვოკატორები საკმარისად გვყავს", - ამბობს რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი სერგეი ფურსენკო.